სადიპლომო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩარიცხვის პროცედურა

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის განსაზღვრულია კვოტა - ჯგუფის საერთო რაოდენობის მინიმუმ **15%,** რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა პროფესიული სასწავლებელი ცალკეული პროგრამის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის გარანტირებულად გამოყოფს გარკვეული რაოდენობის ადგილს. აღნიშნული კვოტა აუცილებლობით არ მოქმედებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (ე.წ. დუალური პროგრამები). დუალური პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულება **უფლებამოსილია** და **არა ვალდებული,** რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის განსაზღვროს თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 15%; დუალურ პროგრამებში ჩარიცხვა კონკურსის შედეგად ხდება, რომელშიც დამსაქმებელიც მონაწილეობს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ კონკურსში მათ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ პირობებში.

სადიპლომო პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის პროცესი

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად, ონლაინ რეგისტრაციის საშუალებით ვებ გვერდიდან - https://vet.emis.ge, ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საგანმანათლებლო რესურს ცენტრებში.

✓ ზოგადი ინფორმაციის შეყვანა

სააპლიკაციო ფორმაში ზოგადი ინფორმაციის შეყვანისას, მნიშვნელოვანია, იმ საკონტაქტო ინფორმაციის (ტელეფონის ნომრის) შეტანა, რომელიც ფუნქციონირებს და ჩართულია ქსელში; ასევე, დამატებით მეორე ტელეფონის ნომრის მითითება, რომელითაც აპლიკანტთან დაკავშირება იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მითითებული იყოს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (მისამართი რომელზეც პირი ცხოვრობს).

- ✓ **სარეგისტრაციო გრაფაში მოცემული ველის - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი" მონიშვნა.**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მიერ რეგისტრაციისას აუცილებელია სპეციალური ველის: „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი" მონიშვნა იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს აღენიშნება შემდეგი ტიპის სირთულე ან სირთულეები:

- ინტელექტუალური ან/და განვითარებასთან დაკავშირებული
- სმენის (ყრუ ან სმენადაქვეითებული)
- მხედველობის (უსინათლო ან მცირემხედველი)
- ქცევითი და ემოციური
- ფიზიკური, მოტორულ უნარებთან დაკავშირებული
- სწავლის გამოხატული სირთულეები

- ✓ **სასურველი პროფესიული პროგრამის შერჩევა**

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს მინიმუმ 3 პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შერჩევის შესაძლებლობა ეძლევა. რეკომენდებულია, ამ შესაძლებლობის გამოყენება და სამი საგანმანათლებლო პროგრამის დარეგისტრირება პრიორიტეტული თანმიმდევრობის მიხედვით. აპლიკანტს უფლება აქვს ერთი და იგივე პროფესიული პროგრამა სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელში მონიშნოს, რაც სასურველი პროფესიის/პროფესიების განსხვავებულ პროფესიულ სასწავლებლებში მოსინჯვის და მისთვის ყველაზე შესაფერისი საგანმანათლებლო გარემოს შერჩევის შესაძლებლობას მისცემს.

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ პირი დუალურ პროგრამაზე რეგისტრირდება, მან დამატებით მოდულური პროგრამაც უნდა შეარჩიოს და დაარეგისტრიროს.

- ✓ **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსის დადასტურება:**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსის დადასტურების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს აპლიკანტის შეფასებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკვე არსებობს სტატუსის დამადასტურებელი მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა.

გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული სპეციალური საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, შესაძლებელია ექსპერტთა გუნდმა აპლიკანტს პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომით გავლის რეკომენდაცია არ გაუწიოს რადგან მიიჩნიოს, რომ აპლიკანტს სტანდარტული პროფესიული ტესტირების გავლის შესაძლებლობა გააჩნია. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სტანდარტული ტესტირების ფარგლებში უზრუნველყოფილია საგამოცდო გარემოს ხელმისაწვდომობა ფიზიკური

შეზღუდვის მქონე პირებისთვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, <u>საგამოცდო ტექსტის შრიფტის გაზრდა</u> (არაუმეტეს 20-სა) და <u>საგამოცდო დროს გაორმაგება</u> (მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციით).

✓ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დოკუმენტაციის წარდგენა

სსსმ პირის სტატუსის დადასტურების შემთხვევაში, აპლიკანტმა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ებში, რომლებშიც დარეგისტრირდა და სწავლა სურს შემდეგი დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს:

ა) სმენის დარღვევის შემთხვევაში - აუდიოგრამა/აუდიოლოგის მიერ გაცემული ცნობა;
ბ) მხედველობის დარღვევის შემთხვევაში - ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა;
გ) ქცევითი და ემოციური დარღვევის შემთხვევაში - შესაბამისი უფლებამოსილი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა;
დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აპლიკანტმა აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს ყველა იმ დაწესებულებაში, რომლებშიც დარეგისტრირდა და სურს ალტერნატიული ტესტირების გავლა ანუ პროგრამების პრაქტიკული მოსინჯვა.
აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენა დაწესებულებებში შესაძლებელი ელექტრონული სახით, ელ. ფოტის გამოყენებით. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებას დოკუმენტაცია გაეგზავნოს რეგისტრაციის გავლიდან რაც შეიძლება სწრაფად და არაუგვიანეს რეგისტრაციის პროცესის დასრულებიდან 4 დღისა.
რაც შეეხება მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნას, აღნიშნული დოკუმენტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მიწოდება უზრუნველყოფილია თავად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

✓ ალტერნატიული ტესტირების ანუ პრაქტიკული მოსინჯვის გავლა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვა ალტერნატიული ტესტირების საშუალებით ხდება, რაც გულისხმობს აპლიკანტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ პირობებში, მის მიერ დარეგისტრირებული პროფესიული პროგრამების პრაქტიკულ მოსინჯვას საუკეთესო პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად. ალტერნატიულ ტესტირებას თავად ის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, რომელშიც დარეგისტრირდა აპლიკანტი. გასათვალისწინებელია, რომ ალტერნატიული ტესტირება ყველა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიძლება განხორციელდეს, რომელიც აპლიკანტმა რეგისტრაციის დროს მონიშნა და რომელშიც წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ტესტირების ზუსტი თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას, აპლიკანტს იმ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/ების წარმომადგენლები აცნობებენ, რომელშიც დარეგისტრირდა და შემდგომ წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ალტერნატიული ტესტირებისას აპლიკანტს შესაძლებლობა ეძლევა პრაქტიკულად მოსინჯოს მის მიერ შერჩეულ და დარეგისტრირებულ პროგრამასთან დაკავშირებული რამდენიმე ტიპური აქტივობა და მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსიის შედეგად, გააკეთოს მისთვის საუკეთესო პროფესიული არჩევანი.

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული ტესტირების პროცედურა რეგისტრაციიდან-ჩარიცხვამდე



დამატებით გასათვალისწინებელი ინფორმაცია:

გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლოა სწავლის მსურველი სსსმ მეტი პირის იყოს დარეგისტრირებული, ვიდრე პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობაა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ რომელიმე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ კვოტას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას აპლიკანტის რეგისტრაციის დროს (თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი) ენიჭება უპირატესობა, ანუ, უფრო ადრე დარეგისტრირებულ აპლიკანტებს.